

## განმარტებითი ბარათი

### „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, რათა არ მოხდეს ერთი და იმავე საკითხის განსხვავებული რეგულირება აღნიშნული კანონებით.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ცვლილებები შედის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლში. აღნიშნული ცვლილებებით: ა) საგადასახადო ორგანოს შექმნება მოითხოვოს მოვალის ყადაღადადებული ქონების პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა; ბ) აუქციონის წესით ქონების რეალიზაციას აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს – სააღსრულებო ბიუროს ნაცვლად განხორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო; გ) მე-4 ნაწილს ემატება აღსრულების ხარჯი; აღნიშნული ცვლილებები განპირობებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

##### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

##### ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

##### ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული იმ პირების ფინანსურ ვალდებულებებთან, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას და შესაბამისად, არ ადგენს მის ოდენობასა და გადახდის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია, ზვიად კუკავა, კახაბერ ანჯაფარიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია, ზვიად კუკავა, კახაბერ ანჯაფარიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი.